ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 369

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის, მიხაკო წერეთლის I ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის I ჩიხს მიენიჭოს დავით ვაჩნაძის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე


1:1,500
X=483062 Y=4628735
დავით ვაჩნაძის ქ.
X=483075 Y=4628671
X=482948 Y=4628649
I ჩიხი
X=483075 Y=4628638
II ჩიხი
X=483142 Y=4628631
დავით ვაჩნაძის ქ.
X=483068 Y=4628562